ხელშეკრულება N 60-7-115-199

ქ. თბილისი 2015 წ. 09.03

I. მხარეები

ერთის მხრივ, **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“** (ს/კ 204995176), წარმოდგენილი მისი მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის/რეაბილიტაციის მმართველის სულხან ზუმბურიძის სახით (შემდგომში მოხსენიებული, როგორც ,,მიმწოდებელი”) და

მეორეს მხრივ **შპს „გარდაბნის თბოსადგური“** (ს/კ 404428071) (შემდგომში მოხსენიებული, როგორც ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლაშა მგელაძის სახით (შემდგომში ორივე მხარე ერთად მოხსენიებული, როგორც ,,მხარეები“)
ვმოქმედებთ რა საზოგადოების წესდებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია ,,შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება (CPV50411300) დანართი N1-ის (ფასების ცხრილი, მომსახურების გაწევის ვადა) შესაბამისად.
2.2 დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

III. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. მომსახურების მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის (ფასების ცხრილი, მომსახურების გაწევის ვადა) შესაბამისად და შეადგენს **444,24** (ოთხას ორმოცდაოთხი და ოცდაოთხი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება“).
3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება კონკრეტული ობიექტის მიხედვით, შესაბამისი ობიექტის მომსახურებაზე გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
3.4. გადახდის დღედ ითვლება თანხის მიმწოდებლის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. "მიმწოდებელი" მოვალეა:
4.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის, პირობებისა და ვადების შესაბამისად გაუწიოს "შემსყიდველს" სათანადო მომსახურება.
4.1.2 გამოასწოროს მიღება-ჩაბარების დროს გამოვლენილი ყველა ის ხარვეზი, ან/და შეუსაბამობა, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ თავისი ბრალით. ყველა სხვა შემთხვევაში (მაგ. მიმწოდებლისთვის არასწორი ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება, ობიექტზე არ

დაშვება და ა.შ.). ხარვეზების გამოსწორების (მათ შორის დამატებით ჩასატარებელი სამუშაოები) ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.
4.1.3. „მიმწოდებლის” მიერ სამუშაოების შესრულების ვადა აითვლება ”შემსყიდველის” წერილობითი მოთხოვნიდან და ობიექტზე დაშვების დღიდან.
4.2. “შემსყიდველი” მოვალეა:
4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად სრულად გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება;
4.2.2 უზრუნველყოს მიმწოდებლის ობიექტზე დაშვება;
4.2.3. შეუქმნას მიმწოდებელს მუშაობის ნორმალური პირობები და ამ კუთხით უზრუნველყოს მიმწოდებლის მოთხოვნების სრულყოფილი და ჯეროვანი შესრულება;
4.2.4. სრულყოფილად მიაწოდოს მიმწოდებელს სამუშაოს ჯეროვანი შესრულებისთვის საჭირო ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია;
4.2.5. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით მიღება-ჩაბარების აქტით მიიღოს შესრულებული სამუშაო.

V. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ,,მიმწოდებლის“ მიზეზით (ბრალით) მომსახურების დაგვიანებით გაწევის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევამდე. „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო არ დაერიცხება და არ დაეკისრება ამ ხელშეკრულების 12.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში „მიმწოდებლის“ მიერ სამუშაოების წარმოების დროებით შეწყვეტისას „შემსყიდველის“ ობიექტზე/ობიექტებზე.
5.2. სამუშაოს შესრულების ნებისმიერი შეფერხების შემთხვევაში, რაც გამოწვეულია შემსყიდველის ბრალით (არასწორი ტექნიკური მონაცემების მიწოდება, ობიექტზე დაუშვებლობა, სათანადო სამუშაო პირობების არ არსებობა, ნებისმიერი ის ქმედება ან უმოქმედობა რაც ხელს უშლის სამუშაოების ნორმალურ მიმდინარეობას) შემსყიდველს დაეკისრება პასუხისმგებლობა ყოველ მოცდენილ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით სათანადო სამუშაო პირობების აღდგენის დღემდე. სამუშაოს შესრულების ნებისმიერი შეფერხების შემთხვევაში, რომლის გამოსწორებაც შემსყიდველის მიერ ვერ ხერხდება ერთი დღის ვადაში, მიმწოდებლის თანამშრომელი ტოვებს სამუშაო ადგილს მანამდე, სანამ შემსყიდველი წერილობითი ფორმით არ დაადასტურებს ობიექტზე სათანადო სამუშაო პირობების არსებობას. მიმწოდებლის წარმომადგენლების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი, ამასთან ასეთი წარმომადგენლების რაოდენობას, რომლებიც ესაჭიროება მიმწოდებელს კონკრეტულ ობიექტზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად განსაზღვრავს თავად მიმწოდებელი, მაგრამ მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხი) პირს.
5.3 „შემსყიდველის“ მიერ ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თანხის სრულად ანაზღაურებამდე. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო შემსყიდველს ეკისრება გადასახდელი თანხის სრულად ანაზღაურებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა.
5.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, აანაზღაურონ მიყენებული

ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება, ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას და ასევე მისი გადახდის ვალდებულებას.
5.5 ,,შემსყიდველს“ უფლება არ აქვს მიმწოდებლის წერილობითი თანხმობის გარეშე ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და “მიმწოდებელზე” დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა. მიმწოდებლის თანხმობის გარეშე მომსახურების ღირებულების არასრულად (მიმწოდებელზე დარიცხული პირგასამტეხლოს ან/და მიყენებული ზიანის ოდენობით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხის გამოქვითვისას) გადახდის შემთხვევაზე (შემსყიდველზე) ვრცელდება 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და 5.4 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

VI. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ,,შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ,,მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
6.2. ნებისმიერ შეფერხებაზე, რაც გამოწვეული იქნება „შემსყიდველის“ კონტროლით, პასუხისმგებლობა დაეკისრება „შემსყიდველს“, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი მოცულობის ვადით.
6.3. მიმწოდებელს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი შემსყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
6.4 ნებისმიერ შეფერხებაზე, რაც გამოწვეული იქნება „მიმწოდებლის“ კონტროლით, პასუხისმგებლობა დაეკისრება „მიმწოდებელს“, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი მოცულობის ვადით.
6.5. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ „ალფა ცენტრის“ სამსახურის უფროსი დავით დვალი.

VII. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ საქართველოს სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.
7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

VIII. ურთიერთობა მხარეებს შორის

8.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონით, დეპეშის ან ფაქსის გაგზავნის გზით.
8.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

IX. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

9.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:
9.2.1. მხარეთა შეთანხმებით;
9.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;
9.3 „მიმწოდებელს“ შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:
9.3.1. თუ “მიმწოდებლისთვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
9.3.2. ,,შემსყიდველის“ გაკოტრების შემთხვევაში;
9.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ “შემსყიდველის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბია;
9.3.4. შემსყიდველის მიერ ვალდებულების არაერთხელ დარღვევის, ან ვალდებულების ისეთი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველის მიმართ ქმნის ნდობის დაკარგვის საფუძველს.
9.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.4 ამ მუხლის 9.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება და მიყენებული ზიანი მისი არსებობის შემთხვევაში.

X. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი

შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XI. დავათა განხილვა

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XII. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

12.1 კონკრეტულ ობიექტზე მომსახურების მიღება ხორციელდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.
12.2 მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს „მიმწოდებლის“ მიერ კონკრეტულ ობიექტზე მომსახურების გაწევის, ხოლო „შემსყიდველის“ მიერ ობიექტზე შესრულებული მომსახურების მიღების ფაქტს.
12.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის. მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებლის მხრიდან უნდა გაფორმდეს და გადაეცეს შემყიდველს სამუშაოების დასრულებისთანავე, ხოლო შემსყიდველმა არაუგვიანეს მიღება–ჩაბარების აქტის მიღებიდან 24 კალენდარული საათისა უნდა დაამოწმოს იგი. შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, ამ ვადაში გაუფორმებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ცალმხრივად ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს და გამოწერს ანგარიშფაქტურას, რომელიც უნდა ანაზღაურდეს სრულად, ისევე როგორც ანაზღაურდებოდა ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გამოწერილი ანგარიშფაქტურა. ასევე შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურებისა და გამოწერილი ანგარიშფაქტურით დადგენილი თანხის სრულად ანაზღაურებამდე მიმწოდებელი წყვეტს ყოველგვარი სამუშაოების წარმოებას შემსყიდველის სხვა ობიექტებზე (მათი არსებობის შემთხვევაში).
12.4. „12.3.“ პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი ითვლება სრული იურიდიული ძალის მქონე აქტად.
12.5. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, შემსყიდველზე გადადის ელ. ენერგიის აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობასთან დაკავშირებული იურიდიული პასუხისმგებლობა, ასევე აღრიცხვის სისტემის გამართულ მდგომარეობაში შენახვის და მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

XIII. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 მაისის ჩათვლით. გადახდების კუთხით ხელშეკრულება მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე.

XIV. განსაკუთრებული პირობა

14.1 მხარეები აცნობიერებენ და აღიარებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობა შეეხება მხოლოდ იმ კონკრეტულ სამუშაოებს, რაც მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში და იგი შემსყიდველის მიერ არ შეიძლება განხილული, ან გამოყენებული იქნეს როგორც შემსყიდველის აღრიცხვის სისტემის გამართულობაზე მიმწოდებელისთვის პასუხისმგებლობის გადაკისრების საფუძველი. მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე პასუხისმგებლობას იღებს მხოლოდ მის მიერ შესრულებულ კონკრეტულ სამუშაოებზე ამ ხელშეკრულების დანართ N1-ში გაწერილი მოცულობის ფარგლებში.

XV. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.
15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
15.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

“მიმწოდებელი”:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საიდ. კოდი: 204995176
მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2

სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ნ GE86LB0114144485353000

სულხან ზუმბურიძე _____

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეგბილიტაციის მმართველი

„შემსყიდველი“:

შპს „გარდაბნის თბოსადგური“

საიდ. კოდი: 404428071
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №21
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ /GE05BG0000000850529700

ლაშა მგელაძე _____

გენერალური დირექტორი

მომსახურების ხელშეკრულება N_____.
შემსყიდველი: შპს „გარდაბნის თბოსადგური“

დანართი N1

ფასების ცხრილი და მომსახურების გაწევის ვადა

N	ობიექტი	სამუშაოს მოცულობა	მომსახურების გაწევის ვადა	ფასი, დღგ-ს ჩათვლით
			დღე	ლარი
1	ობიექტის დასახელება	ელექტროენერგიის 7 (ექვსი) ცალი მრიცხველის პროგრამული ნაწილის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში კონფიგურირება.	1	444,24
		GSM მოდემის კონფიგურაცია		
		ელექტროენერგიის აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემის საკომუნიკაციო წრედის შემოწება		
	სულ			444,24

“მიმწოდებელი”:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”

სულხან ზუმბურიძე

რეაბილიტაციის მმართველი/
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

,,შემსყიდველი“:

შპს „გარდაბნის თბოსადგური“

ლაშა მგელაძე

გენერალური დირექტორი

მომსახურების ხელშეკრულება N 60-7-115-199 მიმწოდებელი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

მიღება-ჩაბარების აქტი

თარიღი:	მარტი, 2015 წ
მომსახურების „შემსყიდველი“:	შპს „გარდაბნის თბოსადგური“
ობიექტი:	გარდაბნის ახალი აირტურბინული თბოელექტროსადგური
მომსახურების გაწევის დაწყების თარიღი:	9 მარტი, 2015 წ
მომსახურების გაწევის დასრულების თარიღი:	9 მარტი, 2015 წ

1. შესასრულებული სამუშაოს მოცულობა მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით:

ელექტროენერგიის 6 (ექვსი) ცალი მრიცხველის პროგრამული ნაწილის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში კონფიგურირება.

GSM მოდემის კონფიგურაცია.

ელექტროენერგიის აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემის საკომუნიკაციო წრედის შემოწება.

2. ფაქტორბივად შესრულებული სამუშაოს მოცულობა მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში:

ელექტროენერგიის 6 (ექვსი) ცალი მრიცხველის პროგრამული ნაწილის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში კონფიგურირება.

GSM მოდემის კონფიგურაცია.

ელექტროენერგიის აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემის საკომუნიკაციო წრედის შემოწება.

„შემსყიდველს“ „მიმწოდებლის“ მიმართ, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე პრეტენზია არ გააჩნია. წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის სისწორეს ვადასტურებთ, მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები:

„მიმწოდებლის“ წარმომადგენელი:	**სულხან ზუმბურიძე**
თანამდებობა:	რეაბილიტაციის მმართველი/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე
ხელმოწერა:	
„შემსყიდველის“ წარმომადგენელი:	**ლაშა მგელაძე**
თანამდებობა:	გენერალური დირექტორი
ხელმოწერა:	